



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 142/ს
30/03/2023

142-21-4-202303301440



ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში, მდინარე ხრამზე შპს „ნახიდური ჰესის“ ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ნახიდური ჰესი 7,2 მგვტ) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ნახიდური ჰესის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში, მდ. ხრამზე ჰიდროელექტროსადგურის (ნახიდური ჰესი 7,5 მგვტ) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

2020 წლის 25 აგვისტოს, ბოლნისის მუნიციპალიტეტში, შპს „ნახიდური ჰესის“ მდინარე ხრამზე ჰიდროელექტროსადგურის (ნახიდური ჰესი 7,5 მგვტ) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება № 2-758).

2021 წლის 22 ივლისს შპს „ნახიდური ჰესის“ მდინარე ხრამზე ჰიდროელექტროსადგურის (ნახიდური ჰესი 7,5 მგვტ) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (მილსადენის დიამეტრისა და ღერძის ცვლილება) გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება №2-1125), რომლის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების თანახმად, ბოლნისის მუნიციპალიტეტში, მდ. ხრამზე დაგეგმილია 7,5 მგვტ სიმძლავრის „ნახიდური ჰესის“ მშენებლობა და ექსპლუატაცია. კაშხლის ქვედა ბიეფში გასაშვები მინიმალური ეკოლოგიური ხარჯის რაოდენობა იქნება 2,04 მ³/წმ, ხოლო ჰესის მიერ ასაღები წყლის ხარჯი - 22 მ³/წმ. საპროექტო ჰესის შემადგენლობაში შედის: სათავე ნაგებობა, თევზსავალი, სადაწნეო მილსადენი, მიწისზედა ჰესის შენობა და გამყვანი არხი. კაშხლის გასწორის GPS კოორდინატებია: X-471037, Y-4593653; X-471114, Y-4593731. ჰესის შენობის ტერიტორიის GPS კოორდინატები: X-473221.01, Y=4593157.89; X-473222.52, Y-4593126.43; X-473244.88, Y-4593159.04; X473246.39, Y-4593127.58. ჰესის შენობიდან

პირდაპირი მანძილი უახლოეს დასახლებამდე შეადგენს 1,7 კმ-ს (სოფ. ნახიდური), ხოლო სათავე ნაგებობიდან - 2,5 კმ-ს (სოფ. ქოსალარი).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებულია: ჰესის დადგმული სიმძლავრის შემცირება; სადაწნეო მილსადენის ბუფერის გაფართოება; ჰესის შენობის მოსაწყობად საჭირო ტერიტორიის ფართობის გაზრდა და ჰესის შენობის პარამეტრების და კონფიგურაციის დაზუსტება; ჰესის შენობასთან გათვალისწინებული ნაპირსამაგრი ნაგებობის სიგრძის ცვლილება; ჰესის შენობამდე მისასვლელი გზის მოწყობა; მდ. ხრამის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებს შორის გადასაადგილებლად დროებითი სატრანსპორტო გადასასვლელის (მილხიდი) მოწყობა.

ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში წარმოდგენილი shp ფაილების გადამოწმებით დგინდება, რომ მთლიანი ფართობიდან (60 117 მ²) „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 49 938 მ² მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში, კერძოდ, წალკა-თეთრიწყაროს სატყეო უბნის თეთრიწყაროს სატყეოში (კვარტალი №46-47) და ბოლნისი-დმანისის სატყეო უბნის ფახრალის სატყეოს ყოფილ საკოლმეურნეო ტყეში.

მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით წარმოდგენილ საპროექტო ტერიტორიაზე გამოიყოფა 3 არქეოლოგიურად აქტიური მონაკვეთი, კერძოდ, „ქვის წყობის ნაშთი“ (GPS კოორდინატები: X-471475.00 Y-4593544.00), „ნამოსახლარი I“ (GPS კოორდინატები: X-471861.00 Y-4593470.00) და „ობიექტი №84-11“ (GPS კოორდინატები: X-473002.00 Y-4593046.00).

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ჰესის დადგმული სიმძლავრის ცვლილება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეტაპზე არ იყო დაზუსტებული გზშ-ის ანგარიშით გათვალისწინებული 2 ერთეული „ფრენსისის“ ტიპის ჰორიზონტალურდერძიანი ტურბინის მარგი ქმედების კოეფიციენტი. აღნიშნული ტურბინების მარგი ქმედების კოეფიციენტის დაზუსტების შემდეგ, ჰესის დადგმული სიმძლავრე შემცირდა 7,5 მგვტ-დან 7,2 მგვტ-მდე.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სადაწნეო მილსადენის ტრასის ძირითადი ნაწილი გადის მთის ფერდობზე, რის გამოც სადაწნეო მილსადენის ტრანშეის დამუშავებისა და მის გასწვრივ გამავალი სამშენებლო-საექსპლუატაციო გზის მოწყობის პროცესში საჭირო იქნება მილსადენის ტრასის მარჯვენა მხარეზე მთის ფერდობების ქვედა ნაწილის ჩამოჭრა, ხოლო ტრასის მარცხენა მხარეზე - ყრილების მოწყობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, გზშ-ის ანგარიშით გათვალისწინებული მილსადენის ბუფერის სიგანე აღარ არის საკმარისი, რადგან ბუფერმა უნდა მოიცვას, მილსადენის ტრასის მარჯვენა მხარეზე ჩამოჭრილი ფერდობის ნაწილის ზედა წიბო, ხოლო მარცხენა მხარეზე კი - წარმოქმნილი

ნაყარის ძირის ხაზი. შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, გზმ-ის ანგარიშით განსაზღვრული ბუფერი გაიზრდება 49 809 მ²-ით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებულია ჰესის შენობის მოსაწყობად საჭირო მიწის ნაკვეთის ფართობის გაზრდა და ასევე ჰესის შენობის პარამეტრების ცვლილება. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ჰესის შენობის მოსაწყობად საჭირო მიწის ნაკვეთის ზომები მცირედით აღემატებოდა თავად ჰესის შენობის ზომებს. ვინაიდან, ჰესის შენობის მოსაწყობად გამოყოფილი მიწის ნაკვეთის ფართობი უნდა აკმაყოფილებდეს ე.წ. K1 კოეფიციენტის მოთხოვნებს, საჭირო გახდა მიწის ნაკვეთის ფართობის 4 113 მ²-ით გაზრდა. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, ჰესის შენობა, ნაცვლად გზმ-ის ანგარიშით გათვალისწინებული 756 მ²-ისა, განთავსდება 820 მ² ფართობზე. ამასთან, ვინაიდან, დღეის მდგომარეობით, ჰესის შენობის მიერ დასაკავებელი მიწის ნაკვეთის ნაწილი (115 მ²) ფარავს პროექტისთვის გათვალისწინებული სამშენებლო ბანაკის ტერიტორიას (GPS კოორდინატები: X-473241 Y-4593124; X-473241, Y-4593130; X-473249, Y-4593130; X-473249, Y-4593139; X-473239, Y-4593140), აღნიშნული გარემოება გათვალისწინებული იქნება სამშენებლო ბანაკის პროექტირებისა და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებისას. რაც შეეხება ჰესის შენობის პარამეტრებსა და კონფიგურაციას, გზმ-ის ანგარიშის თანახმად, სანამ არ არის შერჩეული ტურბინის მწარმოებელი კონკრეტული ქარხანა და არ არის დაზუსტებული ჰესის სააგრეგატე შენობაში დასამონტაჟებელი ტურბინის კონკრეტული პარამეტრები, სააგრეგატე შენობის ზომები და კონსტრუქცია მოცემული იყო მხოლოდ გარკვეული მიახლოებით, სხვა ანალოგიური ტიპისა და სიმძლავრის ჰესების პროექტირებისა და მშენებლობის გამოცდილების გათვალისწინებით. სკრინინგის განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, დაზუსტდა ჰესის შენობის პარამეტრები და კონფიგურაცია. კერძოდ, ტურბინა-აგრეგატების სამონტაჟო დარბაზის შიდა ზომები შეადგენს 13,3X28,0 მ-ს. დარბაზის ძირი მოეწყობა არმირებული ბეტონის ფილით. ტურბინა-გენერატორების დარბაზისა და სამონტაჟო მოედნის თავზე, სპეციალურად მოწყობილ ამწის სავალ კოჭებზე, გადაადგილდება ამწე-კრანი, რომლის მეშვეობითაც განხორციელდება სააგრეგატე შენობაში არსებული მოწყობილობის დემონტაჟი/მონტაჟი. სააგრეგატე-შენობაში განთავსებული მოწყობილობიდან ყველაზე მძიმე ნაწილს წარმოადგენს ტურბინის გენერატორი, რომლის წონის მიხედვითაც განისაზღვრა ჰესის სააგრეგატე შენობაში დამონტაჟებული ამწე-კრანის ტვირთამწეობა. სამონტაჟო მოედნის იატაკი განთავსდება 2,5 მ-ით უფრო მაღლა ტურბინა-აგრეგატების დარბაზის იატაკის ფილასთან შედარებით. მოედანზე მოეწყობა არმირებული მონოლითური ბეტონის ფილა, რომელიც უძლებს სამონტაჟო მოედანზე მძიმედ დატვირთული სატვირთო ავტომობილების გადაადგილებას. აღნიშნულ ფილას დაეყრდნობა 4 ცალი, ამწის სამომძრაო კოჭის საყრდენი კოლონა. სატვირთო ავტომობილების შესასვლელად სამონტაჟო მოედანზე განთავსდება 4,5-მ სიგანის და 4,8 მ სიმაღლის რკინის ორფრთიანი კარები. სამომსახურეო მიშენება მოეწყობა ტურბინა-გენერატორების დარბაზის უკანა მხარეზე. მიშენების შიდა ზომები იქნება 5,2x34,4 მ. სამომსახურეო მიშენების სიმაღლე, იატაკიდან ჭერის ფილამდე, შეადგენს 4,5 მ-ს. მაღალი სამომსახურეო მიშენების მოწყობის აუცილებლობა

განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სამომსახურეო მიშენებაში, კერძოდ ელექტროკარადების სათავსოში, განსათავსებელი ელექტროკარადების სიმაღლე საკმაოდ დიდია და ამასთან, კარადის სრულფასოვანი ვენტილაციისათვის აუცილებელია კარადის თავიდან სათავსოს ჭერამდე დარჩეს საკმაოდ მანძილი. სატრანსფორმატორი ქვესადგური მოეწყობა სამომსახურეო მიშენების უკანა მხარეზე. ტრანსფორმატორები, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებიდან გამომდინარე, გამოყოფილია სააგრეგატე შენობის მიმდებარე ნაწილისაგან, მონოლითური რკინაბეტონის ცეცხლგამძლე კედლით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, „ნახიდური ჰესის“ შენობა მდებარეობს მდ. ხრამის მარჯვენა სანაპიროს ტერასაზე. აღნიშნული ტერასის ნიშნულები საკმაოდ დაბალია და შესაბამისად, როგორც ტერასას, ისე მასზე მოსაწყობ ჰესის შენობას, მდ. ხრამში მაქსიმალური წყალდიდობის ხარჯების მოსვლისას, ემუქრება დატბორვა. ჰესის შენობისა და მიმდებარე ტერიტორიის დატბორვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად, გზმ-ის ანგარიშით გათვალისწინებული იყო 145 მეტრი სიგრძის ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა, რომელიც წარმოდგენილი იყო არმირებული ბეტონის ნაპირდამცავი კედლის სახით. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, ჰესის შენობის კონფიგურაციის გათვალისწინებით, დაზუსტდა ნაპირსამაგრი ნაგებობის სიგრძე და 145 მეტრის ნაცვლად შეადგინა 124 მეტრი. ნაპირდამცავი ნაგებობის საწყისი და ბოლო წერტილის GPS კოორდინატებია: X-473194 Y-4593146; X-473311 Y-4593151. ნაპირდაცვითი სამუშაოების პროცესში, საპროექტო ნაპირსამაგრი კედლის საძირკველში ორ რიგად (სიმაღლე 1,0+1,0=2,0 მ) ჩალაგდება მასიური ბეტონის ბლოკები, რომლებიც შექმნის კედლის გამორეცხვის საწინააღმდეგო კბილს (განივი კვეთის ზომებით 2,0x2,0 მ). აღნიშნული კბილის კონსტრუქციის ძირი ჩასცდება მოსალოდნელი ადგილობრივი გარეცხვის დონის ხაზს. გამორეცხვის საწინააღმდეგო კბილზე ზემოდან მოეწყობა მონოლითური არმირებული კედლის კონსტრუქცია. მონოლითური ბეტონის კედლის ზემოდან განთავსდება 4,6 მ სიმაღლის მასიური ბეტონის ბლოკების საყრდენი კედელი (4 სართულად განთავსებული ბეტონის ბლოკები, ბლოკებს შორის მონოლითური ბეტონის 20 სმ სისქის ფენით). ბლოკებისაგან შექმნილი კედლის მდგრადობის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია კედლის საფუძველში გრუნტის ფენებად დატკეპნა და შემდგომი მოსწორება, რათა ბლოკები დალაგდეს სწორ და მკვრივ საფუძველზე. ბლოკების კონსტრუქციის მეტი საიმედოობისა და მდგრადობისათვის, ბლოკებს შორის, როგორც ჰორიზონტალური ისე ვერტიკალური მიმართულებით, მოეწყობა 20 სმ სისქის მონოლითური B-20 მარკის ბეტონის ფენა.

დოკუმენტში წარმოდგენილია მდ. ხრამის ჰიდროლოგიური მახასიათებლები. ნაპირსამაგრი ნაგებობა გაანგარიშებულია მდ. ხრამის ჰიდროლოგიური რეჟიმის გათვალისწინებით. დოკუმენტის თანახმად, მდ. ხრამის 1%-იანი უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯი შეადგენს 520 მ³/წმ-ს, ხოლო წყალსაცავის კატასტროფული წყალსაგდებიდან 500 მ³/წმ-ის ხარჯის გადმოშვების შემთხვევაში გაუთანაბრდება 1020 მ³/წმ-ს. კალაპოტის ზოგადი გარეცხვის საშუალო სიღრმე შეადგენს 4,31 მ-ს, რაც წყალსაცავის კატასტროფული წყალსაგდებიდან 500 მ³/წმ-ის გადმოშვების შემთხვევაში გაუტოლდება 6,03-ს. კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე შეადგენს 6,90

მ-ს, ხოლო წყალსაცავის კატასტროფული წყალსაგდებიდან 500 მ³/წმ ხარჯის გადმოშვების შემთხვევაში - 9,65 მ-ს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილია ჰესის შენობასთან მისასვლელი მოხრეშილი გრუნტის გზის მოწყობა, რომელიც დაუკავშირდება ჰესის შენობასთან გამავალ ადგილობრივი დანიშნულების გრუნტის გზას. საპროექტო მისასვლელი გზის GPS კოორდინატია: X-472937 Y-4592927. გზის საერთო სიგრძე შეადგენს 515 მეტრს, გზის თაროს სიგანე - 6,5 მეტრს, ხოლო გასაშუალოებული ქანობი - 0,026-ს. გზის მიმდებარე მარჯვენა ფერდობი ჩამოსწორებულია 1:0,5-ის ტოლი ქანობით. გზის მშენებლობის ეტაპზე გათვალისწინებულია 6100 მ³ მოცულობის გრუნტის მოჭრა.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, „ნახიდური ჰესის“ სადაწნეო მილსადენი, რელიეფური პირობებიდან გამომდინარე, გადის მდინარის მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე. გზ-ის ანგარიშის შესაბამისად, სადაწნეო მილსადენით მდინარის გადაკვეთა გათვალისწინებულია სპეციალურად მოწყობილი აკვედუკების მეშვეობით. აღნიშნულ აკვედუკებზე, მილის ზემოდან დაგეგმილია საავტომობილო გადასასვლელების მოწყობა, რომლებიც გათვლილია მცირე წონის ავტომობილების (მსუბუქი ავტომობილები, პიკაპები) მოძრაობაზე. მშენებლობის პერიოდში, მძიმედ დატვირთული სატვირთო ავტომობილებისა და სამშენებლო ტექნიკის გადასადგილებლად და ტვირთის (მილის სექციები, ბეტონი და ა.შ.) მდ. ხრამის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადატანისათვის, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, დაგეგმილია დროებითი სატრანსპორტო გადასასვლელის მოწყობა, მრავალმაფიანი მილხიდის სახით (GPS კოორდინატია: X-472849 Y-4593015). მდ. ხრამი გატარებული იქნება 2,0x2,0 მ შიდა განივი კვეთის მქონე ბეტონის კონსტრუქციებისაგან მოწყობილი 6 მაფიანი (ბეტონის წყალგამტარი კონსტრუქცია მოეწყობა 6 რიგად) მილხიდით, რომელზეც ზევიდან გადავა სატრანსპორტო გზა. ჯამში ექვსივე მაფის განივი კვეთის ფართობი იქნება 24,0 მ². მილხიდის თითოეული მაფის (განივი კვეთის ფართი 4,0 მ²) გამტარობა შეადგენს 11,0 მ³/წმ-ს, რაც მილხიდის 6 მაფისათვის 66 მ³/წმ-ის ტოლია. მილხიდების ჯამური წყალგამტარობა საკმარისია ჩვეულებრივ პირობებში მდ. ხრამის წყლის ხარჯის გასატარებლად. ცალკეული მაქსიმალური წყალმოვარდნების შემთხვევაში, ადგილი ექნება წყლის ნაკადის სატრანსპორტო გადასასვლელზე ზევიდან გადადინებას, რა დროსაც სატრანსპორტო გადასასვლელზე მოძრაობა შეჩერდება. ამასთან, სატრანსპორტო გადასასვლელის კონსტრუქცია გათვლილია წყლის ზემოდან გადადინებაზე და უზრუნველყოფილია მისი მდგრადობა. წყალმოვარდნის ნაკადის ჩავლის შემდეგ, სატრანსპორტო გადასასვლელის გამოყენება კვლავ იქნება შესაძლებელი.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას უცვლელი რჩება გამოსაყენებელი ტექნიკა და დასაქმებულთა რაოდენობა. მშენებლობის ეტაპზე მოხდება გზ-ის ანგარიშით განსაზღვრული სამშენებლო ბანაკების და მოედნების გამოყენება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების პროცესში, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება დაკავშირებული იქნება სამშენებლო ტექნიკისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობასთან. სამშენებლო სამუშაოების მასშტაბის და სამშენებლო მოედნიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით (1,7 კმ), ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით გამოწვეულ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში მოსალოდნელია სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვდება მოხდება სეპარირებულად. დოკუმენტის მიხედვით, წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდება კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ვინაიდან, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, არ იცვლება ჰესის ინფრასტრუქტურის მოწყობის ადგილმდებარეობა, რაც გეოლოგიური კუთხით შესწავლილია გზშ-ის ეტაპზე, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, გათვალისწინებული იქნება გზშ-ის ანგარიშით განსაზღვრული სამონიტორინგო და შემარბილებელი ღონისძიებები.

გზშ-ის ანგარიშის შესაბამისად, საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების პროცესში მოსახსნელი გრუნტის რაოდენობა დაახლოებით შეადგენდა 217 000 მ³-ს, საიდანაც 67 000 მ³-ის განთავსება დაგეგმილი იყო დროებით სანაყაროზე (შემდგომი უკუყრისთვის), ხოლო 150 000 მ³-ის - 2 მუდმივ სანაყაროზე. მიუხედავად იმისა, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით სადაწნეო მილსადენის თაროსა და ტრანშეის მოსაწყობად მოსახსნელი გრუნტის მოცულობა გაიზარდა 5 400 მ³-ით, ხოლო მისასვლელი გზის მოსაწყობად დამატებით მოიხსნება დაახლოებით 6 100 მ³ მოცულობის გრუნტი, საბოლოო ჯამში (მოსახსნელი გრუნტის რაოდენობის დაზუსტების შემდგომ) დროებით და მუდმივ სანაყაროებზე განსათავსებელი გრუნტის მოცულობა შემცირდება 43 000 მ³-ით. კერძოდ, დროებით სანაყაროზე განსათავსებელი გრუნტის მოცულობა შეადგენს 75 900 მ³-ს, ხოლო 2 მუდმივ სანაყაროზე - 98 500 მ³-ს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, გზშ-ის ანგარიშის შესაბამისად პროექტის ფარგლებში მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის საერთო რაოდენობა შეადგენდა დაახლოებით 1 974 მ³-ს. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების პროცესში დამატებით მოიხსნება 350 მ³ ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, რაც ჯამში შეადგენს 2 324 მ³-ს. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის სამუშაოები განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მდ. ხრამზე ზემოქმედება მოსალოდნელია ნაპირსამაგრი ნაგებობისა და მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებს შორის გადასაადგილებლად დროებითი სატრანსპორტო გადასასვლელის (მილხიდი) მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ეტაპზე. მდ. ხრამზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემცირების მიზნით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების პროცესში გატარდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული შემარბილებელი ღონისძიებები.

ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, 2022 წელს მთლიან საპროექტო ტერიტორიაზე დამატებით ჩატარებული ტაქსაციის შედეგების მიხედვით, საპროექტო დერეფნის ფარგლებში დაფიქსირდა 23 ძირი ჯაგრცხილა, 78 ძირი ნეკერჩხალი, 9 ძირი რცხილა, 10 ძირი ცაცხვი, 14 ძირი ქართული მუხა, 13 ძირი ივანი, 63 ძირი თელა, 21 ძირი ვერხვი, 76 ძირი ტირიფი, 20 ძირი თუთა, 4 ძირი აკაცია, 41 ძირი კუნელი, ასევე 2 საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობა, კერძოდ: თელადუმა *Ulmus glabra* (სტატუსით - VU) და შიშველი აკაკი *Celtis glabrata* (სტატუსით - VU) - საერთო ჯამში 69 ერთეული, საერთო მოცულობით 3,71 მ³. გარდა ზემოაღნიშნულისა, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ (უშუალო ზემოქმედების ფარგლებს გარეთ) დაფიქსირდა საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული 2 სახეობა (*Quercus macranthera* - მაღალმთის მუხა და *Ulmus minor* - პატარა თელადუმა), რომლებზეც პროექტის ფარგლებში ზემოქმედება ნაკლებად მოსალოდნელია. წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემცირების მიზნით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პროცესში გატარდება „ნახიდური ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტისათვის განსაზღვრული შემარბილებელი ღონისძიებები.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით გადაიგზავნა თეთრიწყაროს და ბოლნისის მუნიციპალიტეტების მერიაში. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით საზოგადოების მხრიდან წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში, მდინარე ხრამზე შპს „ნახიდური ჰესის“ ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება (ნახიდური ჰესი 7,2 მგვტ) არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ნახიდური ჰესი“ ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს ბოლნისის მუნიციპალიტეტში, მდინარე ხრამზე ჰიდროელექტროსადგურის (ნახიდური ჰესი 7,5 მგვტ) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე 2020 წლის 25 აგვისტოს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვით, წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით;
3. შპს „ნახიდური ჰესი“ ვალდებულია სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე დაგეგმილი საქმიანობა შეათანხმოს სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან;
4. შპს „ნახიდური ჰესმა“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს სამ არქეოლოგიურად აქტიურ მონაკვეთზე მეორე ეტაპით გათვალისწინებული არქეოლოგიური სამუშაოების (დამურფვა) ჩატარება და კვლევის შედეგების საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში წარდგენა, ხოლო დანარჩენ ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების არქეოლოგის მეთვალყურეობის ქვეშ განხორციელება;
5. შპს „ნახიდური ჰესისთვის“ ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2020 წლის 25 აგვისტოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ნახიდური ჰესს“;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ნახიდური ჰესის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო